

სს „ბაზტრიონი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 211 360 089

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	9
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	11
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	12
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	17

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „ბახტრიონის“ (ს/კ 211 360 089) აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ბახტრიონის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „ბახტრიონის“ (ს/კ 211 360 089) აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ბახტრიონის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენი

3 | Page

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 30 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

+995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113

ontacts@bakashviliandco.com

ARAS - F - 887264

0177 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10

47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0177 Tbilisi, Georgia

bakashviliandco.com



Independent member
Morison Global

დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ კომპანიის მთლიანი შემოსავლის გენერირება ხდება მხოლოდ ერთი კონტრაქტის ფარგლებში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ გარემოებას ჩვენს მოსაზრებაზე გავლენა არ მოუხდენია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და

დამოუკიდებლობის ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ კომპანიის მთლიანი შემოსავლის გენერირება ხდება მხოლოდ ერთი კონტრაქტის ფარგლებში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ გარემოებას ჩვენს მოსაზრებაზე გავლენა არ მოუხდენია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და



ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს,

ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს,



რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.



- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს ქეთევან გუმბერიძე, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-831220.

ქეთევან გუმბერიძე

აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“ (ს/კ 211 356 922)

საერთაშორისო აუდიტორული ქსელის „Morison Ksi“-ის დამოუკიდებელი წევრი საქართველოში რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

25 ივლისი, 2025 წელი


ქ. თბილისი, საქართველო

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს ქეთევან გუმბერიძე, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-831220.

ქეთევან გუმბერიძე



აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“ (ს/კ 211 356 922)

საერთაშორისო აუდიტორული ქსელის „Morison Ksi“-ის დამოუკიდებელი წევრი საქართველოში რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

25 ივლისი, 2025 წელი

ქ. თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საინვესტიციო ქონება	5	12,417	12,509
ძირითადი საშუალებები	-	1	2
სულ გრძელვადიანი აქტივები:		12,418	12,511
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	939	1,144
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	384	290
სულ მიმდინარე აქტივები:		1,323	1,434
სულ აქტივები:		13,742	13,945
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:			
მფლობელთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	(103)	(52)
რეზერვი	-	(13,299)	(13,299)
გაუნაწილებელი მოგება	-	(339)	(442)
სულ მფლობელთა კაპიტალი:		(13,741)	(13,793)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდები	-	(1)	(1)
საგადასახადო ვალდებულებები	8	-	(151)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		(1)	(152)
სულ ვალდებულებები:		(1)	(152)
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:		(13,742)	(13,945)

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 25 ივლისი, 2025 წელი

დირექტორი: გიორგი ბერიშვილი


მთ. ბუღალტერი: ნატო ალფაიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის


	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საინვესტიციო ქონება	5	12,417	12,509
ძირითადი საშუალებები	-	1	2
სულ გრძელვადიანი აქტივები:		12,418	12,511
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	939	1,144
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	384	290
სულ მიმდინარე აქტივები:		1,323	1,434
სულ აქტივები:		13,742	13,945
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:			
მფლობელთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	(103)	(52)
რეზერვი	-	(13,299)	(13,299)
გაუნაწილებელი მოგება	-	(339)	(442)
სულ მფლობელთა კაპიტალი:		(13,741)	(13,793)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდები	-	(1)	(1)
საგადასახადო ვალდებულებები	8	-	(151)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		(1)	(152)
სულ ვალდებულებები:		(1)	(152)
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:		(13,742)	(13,945)

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 25 ივლისი, 2025 წელი

დირექტორი: გიორგი ბერიშვილი



მთ. ბუღალტერი: ნატო ალფაიძე



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	9	1,998	1,934
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	10	(758)	(800)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		1,241	1,134
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი		-	-
არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული		-	-
მოგება დაბეგვრამდე		858	1,134
მოგების გადასახადი	11	(202)	(202)
წმინდა მოგება		1,039	932
სხვა სრული შემოსავალი		-	-
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ სრული შემოსავალი		1,143	932

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 25 ივლისი, 2025 წელი.

დირექტორი: გიორგი ბერიშვილი

მთ. ბუღალტერი: ნატო ალფაიძე

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**


	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	9	1,998	1,934
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	10	(758)	(800)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		1,241	1,134
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი		-	-
არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული		-	-
მოგება დაბეგვრამდე		858	1,134
მოგების გადასახადი	11	(202)	(202)
წმინდა მოგება		1,039	932
სხვა სრული შემოსავალი		-	-
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ სრული შემოსავალი		1,143	932

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 25 ივლისი, 2025 წელი.

დირექტორი: გიორგი ბერიშვილი



მთ. ბუღალტერი: ნატო ალფაიძე



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი
1.1.2023	52	13,299	658	14,009
კაპიტალის გაზრდა შემცირება	-	-	-	-
წმინდა მოგება	-	-	932	932
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
დივიდენდები	-	-	(1,148)	(1,148)
31.12.2023	52	13,299	442	13,793
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	52	-	-	52
წმინდა მოგება	-	-	1,039	1,039
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
დივიდენდები	-	-	(1,142)	(1,143)
31.12.2024	103	13,299	339	13,360

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 25 ივლისი, 2025 წელი.

დირექტორი: გიორგი ბერიშვილი


მთ. ბუღალტერი: ნატო ალფაიძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის


	საწესდებო კაპიტალი	რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი
1.1.2023	52	13,299	658	14,009
კაპიტალის გაზრდა შემცირება	-	-	-	-
წმინდა მოგება	-	-	932	932
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
დივიდენდები	-	-	(1,148)	(1,148)
31.12.2023	52	13,299	442	13,793
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	52	-	-	52
წმინდა მოგება	-	-	1,039	1,039
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
დივიდენდები	-	-	(1,142)	(1,143)
31.12.2024	103	13,299	339	13,360

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 25 ივლისი,
 2025 წელი.

დირექტორი: გიორგი ბერიშვილი



მთ. ბუღალტერი: ნატო ალფაიძე



ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2,505	2,415
საქონლისა და მომსახურებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(96)	(96)
დასაქმებულებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(412)	(448)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები	1,997	1,871
საბიუჯეტო გადასახდელები	(817)	(830)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,180	1,041
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა/კაპიტალიზება	-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დივიდენდებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(1,142)	(1,090)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,142)	(1,090)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)	38	(49)
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შედეგი	56	-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)	94	(49)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში:	290	339
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს:	384	290

დირექტორი: გიორგი ბერიშვილი

მთ. ბუღალტერი: ნატო ალფაიძე


ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2,505	2,415
საქონლისა და მომსახურებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(96)	(96)
დასაქმებულებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(412)	(448)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები	1,997	1,871
საბიუჯეტო გადასახდელები	(817)	(830)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,180	1,041
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა/კაპიტალიზება	-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დივიდენდებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(1,142)	(1,090)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,142)	(1,090)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)	38	(49)
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შედეგი	56	-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)	94	(49)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში:	290	339
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს:	384	290

დირექტორი: გიორგი ბერიშვილი



მთ. ბუღალტერი: ნატო ალფაიძე



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ბაბტრონი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 1995 წლის 15 დეკემბერს როგორც სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქ. N 24. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 5ა/5-23 და საიდენტიფიკაციო კოდი: 211 360 089. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკუთარ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების (საინვესტიციო ქონება) იჯარა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩამოთვლილი აქციონერები ფლობდნენ კომპანიის გამოშვებული აქციების 3%-ზე მეტს. სხვა აქციონერები ფლობდნენ ასეთი აქციების 3%-ზე ნაკლებს.

აქციონერი	აქციათა რაოდენობა	31.12. 2024 ფლობის წილი
ბერიშვილი გიორგი	1,217	18.84%
თავართქილაძე დარეჯანი	1,216	18.82%
მირზიაშვილი დიმიტრი	1,082	16.75%
ზაკალაშვილი პავლე	439	6.80%
ზაკალაშვილი ეკატერინე	392	6.07%
ზაკალაშვილი გენო	385	5.96%
გიოშვილი დავით	216	3.34%
სხვა აქციონერები ($\leq 3\%$)	1,513	23.42%
სულ:	6,460	100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომ „ფასს სტანდარტები“) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „საქართველოს“ ქვეყნის ფულად ერთეულში ლარში (GEL).

ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

აქვე აღვნიშნავთ და ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ კომპანიის მთლიანი შემოსავლის გენერირება ხდება მხოლოდ ერთი კონტრაქტორის ხელშეკრულების ფარგლებში.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ისინი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

2024 და 2023 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

„ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“- მოცემული აქტივები

წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL)

კომპანია ფინანსური აქტივების შესაძლო გაუფასურებას აფასებს IFRS 9-ის მოთხოვნების შესაბამისად, **მარტივირებული მიდგომის** გამოყენებით, რაც გულისხმობს ე.წ. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის (ECL) გამოყენებას.

მოსალოდნელი ზარალის შეფასება ხორციელდება მოთხოვნების ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით, როგორიცაა:

- დავალიანების ხანგრძლივობა,
- დავალიანების სტატუსი (გადაცილებული/არ გადაცილებული),
- ისტორიული დაკომპენსირების ტენდენცია.

კომპანია დეფოლტად მიიჩნევს იმ მოთხოვნებს, რომლებიც 30 კალენდარულ დღეზე მეტით არის გადაცილებული გადახდის თარიღთან შედარებით. ასეთი მოთხოვნების მიმართ სრულად (100%-ით) წარმოიქმნება დაკორექტირებული ზარალის რეზერვი.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოთხოვნები გადახდის გრაფიკის შესაბამისად იყო სრულად დაკმაყოფილებული, რის გამოც დაკორექტირებული ზარალის რეზერვი არ აღრიცხულა.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის

საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთჩათვლისთვის.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს მიწის ნაკვეთს და შენობა-ნაგებობას, რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღებას ან კაპიტალის შეფასებას და არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ, ასევე არ ხდება მისი გაყიდვა ბიზნესის საწარმოო ციკლში. საკუთრება, რომელიც შენდება მომავალი მოხმარებისთვის, კლასიფიცირდება როგორც საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, და შემდგომ აღირიცხება თვითღირებულების მოდელის მიხედვით - თვითღირებულებას გამოკლებული ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ბანკებში განთავსებულ მოთხოვნამდე ანაზრებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი ვადა, მაქსიმუმ, სამი თვეა.

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის სამართლიანი ღირებულებით.

აკუმულირებული მოგება შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

კომპანიას აკუმულირებული მოგებიდან გადატანილი აქვს თანხა რეზერვის სახით.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა;
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და სამართლიან ღირებულებას შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს.

დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება სხვა ხარჯების მუხლში - „გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა“. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი,

რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. დამატებული ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული მომსახურებასთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება : (ა) მომხმარებლისგან მისაწოდებელი მომსახურების გაწევამდე მიღებული ავანსი, ან (ბ) მომსახურების მიწოდება მომხმარებლისთვის. დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა, რომელიც ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საგადასახადო აქტივის, ან საგადასახადო ვალდებულებების მუხლში.

შემოსავლის აღიარება

კომპანია იჯარის საფუძველზე იღებს შემოსავალს, რომელიც აღიარებულია IFRS 16-ის „იჯარა“-ს და IFRS 15-ის „შემოსავალი კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან“ მოთხოვნების შესაბამისად.

შემოსავლის აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც კონტრაქტით გათვალისწინებული შესრულება ხდება და მომხმარებელი იღებს სარგებელს. კომპანიას აქვს ფიქსირებული ფასის მქონე საიჯარო ხელშეკრულება, რომლის პირობების მიხედვით შემოსავალი აღიარებულია დროში განსაზღვრული მომენტის საფუძველზე, ვინაიდან მოიჯარე სარგებლობს ქონებით კონკრეტული პერიოდის განმავლობაში.

თუ ხელშეკრულება შეიცავს ერთზე მეტ შესრულებად ვალდებულებას, გარიგების ფასი ნაწილდება თითოეულ ვალდებულებაზე ინდივიდუალური გასაყიდი ფასების მიხედვით.

კომპანია იჯარით გასცემს ერთ ობიექტს, რომელიც მდებარეობს თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სულხან ცინცაძის ქუჩა №24. მომხმარებლისგან არ ხდება წინასწარი ავანსის მიღება. შემოსავალი აღიარებულია რეგულარულად ყოველთვიურად, როგორც ეს განსაზღვრულია საიჯარო ხელშეკრულებით.

3. სააღრიცხვო შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა.

საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა და სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.
საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ეფუძნება ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას და კომპანიაში არსებულ გამოცდილებას მსგავსი აქტივების გამოყენებაზე. მართალია, აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებელი ძირითადად მოიხმარება მათი გამოყენების შედეგად, თუმცა ის შესაძლოა შემცირდეს ტექნიკური ან კომერციული მოძველების, მორალური ცვეთის ან ბაზრის მოთხოვნის ცვლილებების შედეგად.

2024 წლის მდგომარეობით, კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა აქტივების დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები მათი ტექნიკური მდგომარეობის, მოსალოდნელი გამოყენების და მოვლა-შენახვის პრაქტიკის გათვალისწინებით. ასევე შეფასდა ფიზიკური ცვეთის, ტექნოლოგიური ან ბაზრის ცვლილებებით გამოწვეული მოძველების რისკები. აღნიშნული შეფასების საფუძველზე, შენობა-ნაგებობის სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული იქნა **50 წლით**.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ ჩართო **პროფესიული კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი შემფასებლები**. შეფასება განხორციელდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელის საფუძველზე. შეფასების შედეგად, საინვესტიციო ქონების სამართლიანმა ღირებულებამ შეადგინა:

- მიწის ნაკვეთი – **15,195,000 ლარი**
- შენობა – **5,245,000 ლარი**

4. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ა) 2024 წელს პირველად გამოყენებული სტანდარტები და შესწორებები

2024 წელს ძალაში შევიდა რამდენიმე განახლება და შესწორება საერთაშორისო სტანდარტებში, რომელთაგან კომპანიისთვის მნიშვნელოვნად აღსანიშნავია შემდეგი:

- **მიწოდების ფინანსური შეთანხმებები (შესწორება IAS 7 და IFRS 7):**
მოთხოვნილია გამჭვირვალე ინფორმაცია მიწოდების ჯაჭვის დაფინანსებასთან (მაგ., რევერსული ფაქტორინგი) დაკავშირებულ ვალდებულებებზე, მათ შორის ხარისხობრივი და რაოდენობრივი განმარტებები.
- **IAS 1 – ვალდებულებების კლასიფიკაცია:**
გასწორებული განმარტება ეხება გრძელვადიან/მოკლევადიან კლასიფიკაციას. გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და არ უნდა იყოს დამოკიდებული მოლოდინზე. ასევე, დაზუსტდა კოვენანტებთან დაკავშირებული პირობების შეფასების დროითი საზღვრები.
- **IFRS 16 – უკუიჯარის პირობებში ცვლადი საიჯარო გადახდების აღიარება:**
არ არის დასაშვები მოგების ან ზარალის აღიარება, როდესაც მომწოდებელი ინარჩუნებს გამოყენების უფლებას და საიჯარო პირობები ცვლადია.

კომპანიამ შეაფასა ზემოაღნიშნული შესწორებების გავლენა და დაასკვნა, რომ მათ არ აქვთ არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ

- **IAS 21 – უცხოური ვალუტის კურსის არ არსებობის შემთხვევა:**
შესწორება ითხოვს სპოტ კურსის განსაზღვრას მაშინ, როდესაც ბაზარზე არ არსებობს გაცვლითი კურსი. იგი ეხება გრძელვადიან შეზღუდვებს კონვერტირებადობაზე.

გ) ხელმძღვანელობის შეფასება

ხელმძღვანელობის შეფასებით, 2025 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესასვლელი სტანდარტები არაეკსპექტირებადია, რომ იქონიონ არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან წარდგენაზე.

5. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	შენობა-ნაგებობა	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,000	4,603	12,603
შესყიდვები	-	-	-
გასვლის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-	-
გადაფასება	-	-	-
გაყიდვები/ჩამოწერა	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,000	4,603	12,603
შესყიდვები	-	-	-
გასვლის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-	-
გადაფასება	-	-	-
გაყიდვები/ჩამოწერა	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,000	4,603	12,603

ცვეთა და გაუფასურება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	(93)	(93)
გასვლის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა	(93)	(93)	(93)
გადაფასების კორექტირება	(93)	-	-
გაუფასურება	(93)	(93)	(93)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(93)	(93)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	(93)	(93)
გასვლის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-	-
გადაფასების კორექტირება	-	-	-
გაუფასურება	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		(186)	(186)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის	8,000	4,509	12,509
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის	8,000	4,417	12,417

მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, კომპანიის შეფასებით (დამოუკიდებელი შემფასებლის ჩართულობით), 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი სამართლიანი ღირებულება შეადგენს დაახლოებით 20,440 ათას ლარს.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	384	290
საერთო ჯამში:	384	290

კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია სს „საქართველოს ბანკში“, რომელიც არის ლონდონის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული და ითვლება სისტემურად მნიშვნელოვან დაწესებულებად. Moody's-ის საერთაშორისო საკრედიტო სააგენტოს მიხედვით, ბანკის საკრედიტო რეიტინგია **Ba2 სტაბილური პერსპექტივით** (2024 წლის მდგომარეობით).

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	882	1,136
საგადასახადო აქტივი	48	-
გადახდილი ავანსები	9	-
საერთო ჯამში:	939	1,136

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ძირითადად შედგება იჯარის მიმდინარე ანგარიშგების პერიოდის გადაუხდელი თანხებისგან. ყველა მოთხოვნა დადგენილია ფულად ერთეულში, არ არის გადაცილებული და არ არსებობს საგრძნობი კრედიტისკი.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოთხოვნებზე არ გააჩნია დაკორექტირებული ზარალი (ECL), რადგან შეფასების შედეგად დადგინდა, რომ მოთხოვნები სრულად დასაბრუნებელია და არ იკვეთება დარეზერვების აუცილებლობა.

8. საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

9. ამონაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
იჯარიდან მიღებული შემოსავალი (სწორი ხაზის მეთოდით)	1,998	1,934
საერთო ჯამში:	1,998	1,934

კომპანია აღიარებს შემოსავალს იჯარისგან IFRS 16 „იჯარა“-ს და IFRS 15 „შემოსავალი კლიენტებთან კონტრაქტებიდან“-ის მოთხოვნების შესაბამისად. იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია შუალედური გადახდების გარეშე, სწორ ხაზზე (straight-line) მეთოდით მთელ საიჯარო პერიოდში. კომპანია ფლობს ერთ საინვესტიციო ქონებას, რომლის იჯარით გაცემიდან მიიღება ერთადერთი წყაროს შემოსავალი. საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდა 2021 წლის 1 ოქტომბერს, 10 წლიანი ვადით და ყოველთვიური იჯარის თანხაა 76,700 აშშ დოლარი (დღგ-ს ჩათვლით).

იჯარის შემოსავალი წარმოდგენილია წმინდა პრინციპით (დღგ-ს გამოკლებით), გამომდინარე იქედან, რომ კომპანია წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს და ვალდებულია გადასახადის ნაწილი ბიუჯეტში გადაიხადოს.

შემოსავლის ზრდა გამოწვეულია მხოლოდ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებით. საიჯარო პირობებში 2023 და 2024 წლებში არ შეტანილა ცვლილება.

10. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შრომის ანაზღაურება	(545)	(581)
ცვეთა და ამორტიზაცია	(93)	(92)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(48)	(50)
შემენილი მომსახურების ხარჯი	(19)	(17)
კომუნალურის ხარჯი	(2)	(2)
დაზღვევა	-	(3)
საიჯარო ხარჯი	(37)	(36)
დემონტაჟის ხარჯი	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯი	(14)	(19)
სულ:	(758)	(800)

აღნიშნული ხარჯები წარმოადგენს კომპანიის ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. 2024 წელს შრომის ანაზღაურება შემცირდა სამსახურის ოპტიმიზაციის შედეგად.

11. მოგების გადასახადის ხარჯი

ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებია 202 ათასი ლარი (2022 წელი - 202 ათასი ლარი) მოგების გადასახადი, წარმოადგენს გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდის მოგების გადასახადს.

12. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

კომპანიის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის

მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. მათი მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	384	290
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	875	1,136
სულ ფინანსური აქტივები	1,259	1,426
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	-
მიღებული სესხები	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	9	-

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმუმაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ

ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

➤ საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

➤ სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

ვალუტის კურსის ცვალებადობის მგრძნობელობის ანალიზი (სენსიტიურობა)

კომპანიის შემოსავალი სრულად არის დენომინირებული აშშ დოლარში (USD), რაც მას ექვემდებარება სავალუტო კურსის ცვლილების გავლენას. სხვა აქტივები და ვალდებულებები დენომინირებულია ლარში (GEL), ამიტომ კომპანიის მოგებაზე სავალუტო რისკი ძირითადად შემოსავლის კომპონენტზე ვრცელდება.

მგრძნობელობის ანალიზი:

ქვემოთ წარმოდგენილია აშშ დოლარის კურსის ცვლილების ჰიპოთეზური ეფექტი კომპანიის შემოსავალზე და წმინდა მოგებაზე 2024 წლისთვის:

სცენარი	კურსი (საშ. წელი)	შემოსავლის ცვლილება (ათ. ლარში)	წმინდა მოგების ცვლილება (ათ. ლარში)
USD/GEL +5% გაძლიერება	~2.76 → ~2.90	+100	+85
USD/GEL -5% გაუფასურება	~2.76 → ~2.62	-100	-85

დამატებითი შენიშვნა:

მოცემული მგრძნობელობის ანალიზი ეფუძნება ხელშეკრულებით დადგენილი ფიქსირებული დოლარით ნომინირებული საიჯარო შემოსავლების წილობრივ გადათვლას საშუალო სავალუტო კურსის ცვლილების ჰიპოთეზაზე. სხვა პარამეტრები უცვლელადაა ჩანიშნული (სხვა ხარჯები, საგადასახადო განაკვეთები და სხვა ფაქტორები).

წლის განმავლობაში საშუალო გაცვლითი კურსი დოლართან იხო 2.67

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წაწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც ვალდებულებების ხელმძღვანელობის პროცესია.

14. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიამ 2024 და 2023 წლებში დაუფიქსირა მხოლოდ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. დაკავშირებულ მხარეებთან სხვა ტიპის ოპერაციები ან ნაშთები არ გააჩნდა.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ხარჯად აღიარებული	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
შრომის ანაზღაურება	468	501
სულ:	468	501

კომპანია დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების დროს ხელმძღვანელობს „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 25 ივლისი, 2025 წელი ხელმძღვანელობის მიერ. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც

გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე საანგარიშგებო პერიოდის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, კომპანიამ მოახდინა დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან დივიდენდის გაცემა - 1,156 ათასი ლარის ოდენობით.